პროექტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კონსტიტუციური კანონი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში“ (,,აფხაზეთის ხმა“, №27, 06.07.2001წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრებისგან.“.

2. მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ნიშნავს და ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს.

5. მთავრობის თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის დავალებით. მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ჯინჭარაძე

ქ. თბილისი

.... 2026წ

განმარტებითი ბარათი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში 2019 წლის 3 მაისს განხორციელებული ცვლილებით აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში შემოღებულ იქნა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად აფხაზეთის მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისა და მინისტრებისგან.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის შემოღება გარკვეულწილად დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ მთავრობის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე შეასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას და მთავრობა არ იქნებოდა სამართლებრივად უუნარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასეთი შემთხვევები შესაძლებელია დამდგარიყო მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის, მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის ან შეჩერების დროს. ამასთან, საგულისხმოა რომ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პერიოდში მოვალეობის შემსრულებელი შეზღუდულია მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული თანამდებობის შემოღებას ჰქონდა გარკვეული ეფექტი, აფხაზეთის მთავრობაში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, წარმოადგენს ზედმეტ რგოლს მმართველობით სისტემაში და მისი გაუქმებით მმართველობითი სისტემა არათუ დასუსტდება, არამედ უფრო ადეკვატური, მოქნილი და ეფექტური გახდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამასთან, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, იმ მოცემულობაში როდესაც მისი საქმიანობა თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებასთანაა ძირითადად დაკავშირებული, არსებული რეალობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ჩანაცვლდეს

მთავრობის თავმჯდომარის დავალებით მთავრობის შემადგენლობიდან ერთერთი მინისტრისათვის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების დაკისრებით, რაც არსებითად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.

ერთ-ერთი მინისტრისათვის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების დაკისრების ინსტიტუტის შემოღება აბსოლუტურად თავსებადია აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტთან ოპტიმალური საკადრო რესურსით მიღწეულ იქნეს ინსტიტუციური ეფექტურობისა და ეფექტიანობის ზრდა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონში ცვლილების მიღების აუცილებლობა

ვინაიდან, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა წარმოადგენს კონსტიტუციურ თანამდებობას, მისი გაუქმება შესაძლებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა წინამდებარე კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის კონსტიტუციური თანამდებობის გაუქმებას. ამასთან, ამავე ცვლილებით მთავრობის თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას შეასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის დავალებით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შედეგად გაუქმდება მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და მთავრობის თავმჯდომარის არყოფნისას, მისივე დავალებით, მის მოვალეობას შეასრულებს ერთ-ერთი მინისტრი. შესაბამისად, მმართველობითი სისტემა უფრო ადეკვატური და მოქნილი გახდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ოპტიმალური საკადრო რესურსით გაიზრდება მთავრობის ეფექტურობა და ეფექტიანობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში განხორციელებული ცვლილებით მთავრობის შემადგენლობიდან ამოღებული იქნება თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში განხორციელებული ცვლილებით მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია იქნება მინისტრების დანიშვნა-გათავისუფლება, ასევე, მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილი იქნება მისი არყოფნისას მთავრობის თავმჯდომარის შესრულების უფლებამოსილება დააკისროს ერთ-ერთ მინისტრს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

კანონპროექტი გარკვეულწილად დაკავშირებულია სამთავრობო პროგრამასთან,

რომლის თანახმადაც აფხაზეთის მთავრობის პრიორიტეტად დარჩება ადეკვატური ინსტიტუციური მოდელის ჩამოყალიბება და იზრუნებს მოქნილი და ეფექტიანი სამთავრობო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც იმოქმედებენ გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება კანონპროექტით გათვალისწინებულია მისი ამოქმედება გამოქვეყნებისთანავე, რადგან, კანონპროექტის მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედების ამგვარი ვადის დადგენა.

კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, რაც დაკავშირებულია შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანისათვის საჭირო ვადასთან. წარმოდგენილი ცვლილება არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ კუთხით, რომ შესაბამისი თანამდებობის გაუქმებით ბიუჯეტში არ შემოვა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიხედვით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას არ ეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტს არ მოჰყვება ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე;

ე) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ვ) კანონპროექტის ავტორი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

ზ) კანონპროექტის ინიციატორი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.